თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2025 წლის 2 ივლისის
მორიგი სხდომის
ოქმი № 8

ქ. თერჯოლა 2 ივლისი 2025 წელი

სხდომა გაიმართა მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობის სხდომათა დარბაზში, მის. ქ. თერჯოლა, ან. ჭანტურიძის ქ. № 7-ში.

სხდომას უძღვებოდა: საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ბარათაშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ: 1. გიორგი ბარათაშვილი, 2. ეკა ბერძენიშვილი, 3. ნინო ჩხიკვაძე, 4. თემური ქოჩიაშვილი, 5.იზა მაგრაქველიძე, 6. ბიძინა ბუცხრიკიძე, 7. კობა კაცაძე, 8. ნინო მახათაძე, 9. ომარი ჯიხვაშვილი, 10.ბადრი ბუცხრიკიძე, 11. ჯემალ ისაკაძე, 12. ელისო მურადაშვილი, 13. მანუჩარ ფანჩულიძე, 14. შალვა ჭანკვეტაძე, 15. გრიგოლ გიორგაძე, 16. დავით გოგბერაშვილი, 17. რუსუდან კოვზირიძე.

სხდომას არ ესწრებოდნენ: 1.ლაშა გურგენიძე, 2. გოჩა ვერულაშვილი, 3. კახა ბუცხრიკიძე, 4. რამინი რობაქიძე, 5. თამარი ახვლედიანი, 6. ფრიდონ გვენეტაძე, 7. დავით ცხადაძე, 8. ნატალია ასათიანი, 9. კობა კირკიტაძე, 10. მერაბი ბასილაძე, 11. ტარიელ ფანჩულიძე, 12.როლანდი მესხი, 13. ივანე ჩუბინიძე.

საკრებულოს სრული შემადგენლობა: 30 წევრი
საკრებულოს სიითი შემადგენლობა: 30 წევრი
დამსწრე საკრებულოს წევრთა რაოდენობა: 17 წევრი
კვორუმი: 12 წევრი

სხდომას ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის მერი მანუჩარ რობაქიძე.

სხდომა დაიწყო 12 ⁰⁰ სთ-ზე.
სხდომა დამთავრდა - 12 ⁵⁰სთ-ზე.

საკრებულოს სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად.

დღის წესრიგი:

1. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 4 დეკემბრის N18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ(თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის N28-28251822 წერილი, 01.07.2025 წ);

/მომხს.თ.ქოჩიაშვილი/

2. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების ერთჯერადი ფინანსური მხარდაჭერის 2025 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ'' თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 15 იანვრის N 29.29250159 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე(თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის N28-28251828 წერილი, 01.07.2025 წ);

/მომხს.შ.ჭანკვეტაძე/

3. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ (უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობის უფლებით, 2 (ორი) წლის ვადით ა(ა)იპ ,,საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგს“ გადაეცეს მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შემდეგი ქონება: ა) ს/კ 33.15.33.084 - სოფელი ჩხარი - 1199 მ² არასაცხოვრებელი ფართი; ბ) ს/კ 33.10.37.544.01.501 - სოფელი ღვანკითი - 37 მ² არასაცხოვრებელი ფართი (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის N28-282518162 წერილი, 30.06.2025 წ);

/მომხს.ბ.ბუცხრიკიძე/

4. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ (ქ. თერჯოლაში, ოთხი ძმის ქ. N13 -ში მდებარე 2932 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული 1188.13 კვ.მ. შენობა-ნაგებობა (ს.კ.33.09.39.206 - საბავშვო ბაღი), მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობის უფლებით, არსებობის ვადით გადაეცეს ა(ა)იპ თერჯოლის სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალურ ცენტრს(თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის N28-282518126 წერილი, 30.06.2025 წ);

/მომხს.ბ.ბუცხრიკიძე/

5. „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი საპროექტო წინადადებების მოწონებისა და თერჯოლის მუნიციპალიტეტის მიერ 2021-2025 წლებში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიცპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 14 ივნისის N გ-29. 2924166001 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ(თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის N28-28251823 წერილი, 01.07.2025 წ);

/მომხს.ბ.ბუცხრიკიძე/

6. თერჯოლის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 23 მაისის N12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

/მომხს: ბ.ბუცხრიკიძე/

7. თერჯოლის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის სტრატეგიის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 7 დეკემბრის N 22 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ;

/მომხს: ბ.ბუცხრიკიძე/

8. „თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ'' თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის №7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხს: ბ.ბუცხრიკიძე/

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -17, წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ თემურ ქოჩიაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 4 დეკემბრის N18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ დადგენილების პროექტი - თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ცვლილება გამოიწვია შემოსავლების გაზრდამ და ხარჯვითი ნაწილის კორექტირებამ.
ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა გაიზარდა 120.0 ათასი ლარით და შეადგენს 34287.3 ათას ლარს.
საშემოსავლო ნაწილი გაიზარდა 120.0 ათასი ლარით (ჯარიმები, სანქციები და საურავები.)
თერჯოლის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახურის დაფინანსება გაიზარდა 50.0 ათასი ლარით.
სოციალური დაცვა გაიზარდა 70.0 ათასი ლარით.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე-17, წინააღმდეგი-0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 4 დეკემბრის N18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ დადგენილების პროექტი (დადგენილება №14, 02.07.2025 წ.).

2.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ შალვა ჭანკვეტაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების ერთჯერადი ფინანსური მხარდაჭერის 2025 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ'' თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 15 იანვრის N 29.29250159 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი - პროგრამის ბიუჯეტი იზრდება 70 000 (სამოცდაათი ათასი) ლარით. პროგრამის ბიუჯეტის ზრდის წყაროა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 17, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების ერთჯერადი ფინანსური მხარდაჭერის 2025 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ'' თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 15 იანვრის N 29.29250159 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი (განკარგულება №გ-29.29251833. 02/07/2025).

3.

მოისმინეს: მომხსენებელმა საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბადრი ბუცხრიკიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ განკარგულების პროექტი - (მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობის უფლებით, 2 წლის ვადით ა(ა)იპ ,,საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგს" გადასცეს მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შემდეგი ქონება:

ა. ს/კ 33.15.33.084 - სოფელი ჩხარი- 1199 m^2 არასაცხოვრებელი ფართი:

ბ. ს/კ 33.10.37.544.01.501 - სოფელი ღვანკითი - 37 m^2 არასაცხოვრებელი ფართი. აღნიშნულ ფართებზე ფუნქციონირებს სოფლის ამბულატორიები. უზუფრუქტის ხელშეკრულების მოქმედების ვადა ამჟამად ამოწურულია და შესაბამისად საჭიროა ხელშეკრულების განახლება ამ ადგილმდებარეობებზე.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 17, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ (უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობის უფლებით, 2 (ორი) წლის ვადით ა(ა)იპ ,,საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგს" გადაეცეს მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შემდეგი ქონება: ა) ს/კ 33.15.33.084 - სოფელი ჩხარი - 1199 მ² არასაცხოვრებელი ფართი; ბ) ს/კ 33.10.37.544.01.501 - სოფელი ღვანკითი - 37 მ² არასაცხოვრებელი ფართი) განკარგულების პროექტი (განკარგულება №29.29251832, 02/07/2025 წ.).

4.

მოისმინეს: მომხსენებელმა საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბადრი ბუცხრიკიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის, მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ განკარგულების პროექტი(ქ. თერჯოლაში, ოთხი ძმის ქ. N13 -ში მდებარე 2932 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული 1188.13 კვ.მ. შენობა-ნაგებობა (ს.კ.33.09.39.206 - საბავშვო ბაღი), მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობის უფლებით, არსებობის ვადით გადაეცეს ა(ა)იპ თერჯოლის სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალურ ცენტრს).

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -17, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ (ქ. თერჯოლაში, ოთხი ძმის ქ. N13 -ში მდებარე 2932 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული 1188.13 კვ.მ. შენობა-ნაგებობა (ს.კ.33.09.39.206 - საბავშვო ბაღი), მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობის უფლებით, არსებობის ვადით გადაეცეს ა(ა)იპ თერჯოლის სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალურ ცენტრს) განკარგულების პროექტი (განკარგულება №29.29251834, 02/07/2025 წ.).

5.

მოისმინეს: მომხსენებელმა საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბადრი ბუცხრიკიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი საპროექტო წინადადებების მოწონებისა და თერჯოლის მუნიციპალიტეტის მიერ 2021-2025 წლებში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 14 ივნისის N გ-29. 2924166001 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ განკარგულების პროექტი - გეგმაში საჭიროა შევიდეს ცვლილება, რაც გამოწვეულია შემდეგი ინფრატუქტურული პროექტის დამატებით:

1. სოფ ღვანკითში სოფ . ზოვრეთთან დამაკავშირებელი საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

საავტომობილო გზა არის ამორტიზებული, საჭიროებს რეაბილიტაცის, მომზადებულია საპროექტო-სახაჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, პროექტის ფარგლებში მოხდება საავტომობილო გზაზე არმირებული ბეტონის საფარის და სანიაღვრე სისტემის მოწყობა.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -17, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი საპროექტო წინადადებების მოწონებისა და თერჯოლის მუნიციპალიტეტის მიერ 2021-2025 წლებში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 14 ივნისის N გ-29. 2924166001 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ განკარგულების პროექტი(განკარგულება №29.2925183001, 02/07/2025 წ.).

6.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 23 მაისის N12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ დადგენილების პროექტი - საბჭოს შემადგენლობა დაზუსტდა და განისაზღვრა 21 წევრით.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -17 , წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 23 მაისის N12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ დადგენილების პროექტი (დადგენილება №16, 02.07.205 წ.).

7.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის სტრატეგიის დამტკიცების შესახებ” თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 7 დეკემბრის N 22 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ დადგენილების პროექტი .

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -17, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის სტრატეგიის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 7 დეკემბრის N22 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ დადგენილების პროექტი(დადგენილება №17, 02.07.2025 წ.).

8.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო „თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ'' თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის №7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ დადგენილების პროექტი- დადგენილების 116[1] მუხლის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: ,,მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნის მიზანი" .

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -17 , წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს „თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ'' თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის №7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ დადგენილების პროექტი (დადგენილება № 15, 02.07.2025 წ.).

სხდომის თავმჯდომარის მოადგილემ გიორგი ბარათაშვილმა თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 2 ივლისის საკრებულოს მორიგი სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე
გიორგი ბარათაშვილი